პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბრძანება №01/44

ქ. თბილისი **29/03/2023**

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 17 მაისის №01/47 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 1 მარტის №01 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,პ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 17 მაისის №01/47 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
ა) მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სექსუალური შევიწროების მრჩევლის ფუნქცია, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ეკისრებათ სამსახურის უფროსის აპარატისა და ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის კონკრეტულ თანამშრომლებს.“;
ბ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შიდა აუდიტი, სამსახურის უფროსის აპარატსა და ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტთან კოორდინაციით, ამზადებს ანგარიშს მექანიზმით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების, ინციდენტების რაოდენობის, დამდგარი შედეგების, ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.“.

2. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
3. დაევალოს სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების განთავსება სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი